საქმე №3/2140-19

# **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

27 ნოემბერი, 2019 წელი
ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე თამარ მეშველიანი
სხდომის მდივანი ნუცა კაპანაძე

მოსარჩელე ნ----------

მოპასუხეები: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

## **აღწერილობითი ნაწილი**

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №0---------- გადაწყვეტილება;

1.2. ბათლად იქნეს ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №0--------- გადაწყვეტილება;

1.3. დაევალოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გამოსცეს ახალი აქტი, რომლითაც დადგინდება ნ----------ს დემოგრაფიული მონაცემები: ნინო მ-----ის ასული ს----–---------–---ი (ქორწინების შემდეგ გვარი-გ-----)

დაბადებული: 1--- წლის 14 ივნისს, პირადი №0----------;

2. მოპასუხეთა პოზიცია

2.1. მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა წერილობით წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტა, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

2.2. მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა წერილობით წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტა, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. ლ---- ა–––––––––––მა 2018 წლის 24 მაისის განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს და მოითხოვა, თავისი მარწმუნებლის ნ---- ს–––––––––––––ის (ქორწინების შემდეგ-გ-----, პ/ნ 0----------) დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის დაბადების თარიღის - ,,14.06.1---წ'' თარიღით - ,,14.06.1---წ'' შესწორება.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №0---------- გადაწყვეტილებით ლ---- ა–––––––––––ის 2018 წლის 24 მაისის განცხადება ნ---------- ს დაბადების თარიღის შესწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- ლ---- ა–––––––––––ის 2018 წლის 24 მაისის განცხადება (ს.ფ. 80);
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №0---------- გადაწყვეტილება (ს.ფ. 99-100);

3.2. ნ----------ს (ს–––––––––––––ის) წარმომადგენელმა ლ---- ა–––––––––––მა 2018 წლის 21 დეკემბერს №2----- ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) 2018 წლის 22 ნოემბრის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს №0---------- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახალი გადაწყვეტილების მიღება ნ---------- ---ს დაბადების თარიღის შესწორების თაობაზე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №0--------- გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ----------ს (ს–––––––––––––ის) წარმომადგენელის ლიანა ა–––––––––––ის 2018 წლის 21 დეკემბრის №2-----

ადმინისტრაციული საჩივარი; ძალაში დარჩა სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №0---------- გადაწყვეტილება.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2018 წლის 21 დეკემბერს №2----- ადმინისტრაციული საჩივრი (ს.ფ. 150-152);
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 21.02.2019 წლის №0--------- გადაწყვეტილება (ს.ფ. 115-118);

3.3. თბილისის ო----------ის რაიონის მმაჩის განყოფილების მიერ 1--- წლის 25 ივნისს რეგისტრირებულია №6-- დაბადების აქტის ჩანაწერი, რომელშიც მითითებულია შემდეგი მონაცემები: სახელი – ნ----, გვარი - ს----------ი, დაბადების თარიღი გადასწორების გარეშე - 1--- წლის 14 ივნისი; მშობლები: მამა- ს----------ი მერაბი მ------ის ძე, დაბ. 23.08.1---წ; დედა - ა----------ი ლიანა ჯ-----ის ასული, დაბ. 12.01.1---წ. დაბადების აქტი რეგისტრირებულია მამის - მ-----ი ს----------ის განცხადების საფუძველზე და ფიქსირდება მისი ხელმოწერა. დაბადების აქტის ჩანაწერზე გრაფაში - "ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთები" - დაფიქსირებულია 1--- წლის 14 ივნისს გაცემული რ----------ს ცნობა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- თბილისის ო----------ის რაიონის მმაჩის განყოფილების მიერ 1--- წლის 25 ივნისს რეგისტრირებულია №6-- დაბადების აქტის ჩანაწერი (ს.ფ. 131-132, 133-134);

3.4. ნ---- ს----------ის სახელზე 2--- წლის 22 ივნისს, დაბადების მოწმობის ამონაწერის (აქტი №6--, 17.06.2---წ. გაცემული ქალაქის მმაჩის არქივის მიერ) საფუძველზე, ისანი-სამგორის შს განყოფილების მიერ გაიცა პირადობის მოწმობა გ№0----- მონაცემებით: ნ---- ს----------ი, დაბადების თარიღი - 14.06.1---წ.) სახელზე იდენტური დაბადების თარიღით, ასევე, გაცემულია შემდეგი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები: 2008 წლის 28 მარტს პირადობის მოწმობა ა№1------, 2008 წლის 14 აპრილს საქართველოს მოქალაქის პასპორტი 0--------.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- განცხადება-ანკეტა (ს.ფ. 128-129)
- განცხადება-ანკეტა (ს.ფ. 119);
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 21.02.2019 წლის №0--------- გადაწყვეტილება (ს.ფ. 115-118);

3.5. თბილისის ქორწინების სასახლემ 2005 წლის 03 სექტემბერს დაარეგისტრირა მნ №0------ ქორწინების აქტის ჩანაწერი, რომელშიც მითითებულია საცოლის შემდეგი მონაცემები: სახელი - ნ----, გვარი - ს----------

—ი, ქორწინების შემდგომი გვარი - გ-----, დაბადების თარიღი - 1--- წლის 14 ივნისი. ქორწინების აქტი შეწყვეტილია 2016 წლის 22 აგვისტოს №0---------- განქორწინების აქტის ჩანაწერის საფუძველზე. აღნიშნულ განქორწინების აქტის ჩანაწერში მითითებულია ქალის განქორწინების შემდეგი გვარი-გ-----.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- ქორწინების მოწმობა (ს.ფ. 195);
- განქორწინების მოწმობა (ს.ფ. 196);
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 21.02.2019 წლის №0--------- გადაწყვეტილება (ს.ფ. 115-118);

3.6. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იძებნება სხვა №1--- დაბადების აქტის ჩანაწერი, რეგისტრირებული 1--- წლის 22 ნოემბერს, რომელშიც მითითებულია შემდები მონაცემები: ბავშვი დაიბადა მკვდრად 1--- წლოს 20 ნოემბერს; მშობლები: მამა - ს----------ი მ-----ი მ------ის ძე; დედა - ა----------ი ლ---- ჯ-----ის ასული. დაბადების აქტის ჩანაწერზე გრაფაში - "ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთები" მითითებულია ს----------ი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 21.02.2019 წლის №0--------- გადაწყვეტილება (ს.ფ. 115-118);
- №1--- დაბადების აქტის ჩანაწერი (ს.ფ. 138-139);

3.7. შპს "ს----------ის" 2018 წლის 24 მაისის ცნობის თანახმად, ლ---- ა----------მა 1--- წლის 14 ივნისს, საკეისრო კვეთით, ნამდვილად იმშობიარა ქალი. ამავე სამშობიარო სახლის მიერ 2018 წლის 17 აგვისტოს №02 წერილით დგინდება, რომ მათ მიერ გაცემული ცნობა შედგენილი იყო ძველი საბუთისა და ლ---- ა----------ის ზეპირად გადმოცემული ინფორმაციით. კლინიკამ ამავე წერილით სააგენტოს აცნობა, რომ შპს "ს----------ი" არ ფუნქციონირებს 2011 წლიდან, წილის მფლობელია შპს ,,ჰ----------'.

შპს ,,ჰ----------'-ის 2019 წლის 18 თებერვლის წერილის თანახმად, შპს ,,ჰ----------'-ს სამედიცინო დოკუმენტაცია და სხვა საარქივო მასალა შპს "ს----------ის" მიერ არ გადასცემია. შესაბამისად, შპს ,,ჰ----------' არ ფლობს ინფორმაციას ლ---- ჯ-----ის ასული ა----------ის 1--- და 1--- წლებში მშობიარობის შესახებ, ასევე, ინფორმაციას - ირიცხებოდა თუ არა ჯ----------ი 1--- წელს თანამშრომლად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2018 წლის 24 მაისის ცნობა (ს.ფ. 169);

- 2018 წლის 17 აგვისტოს №02 წერილი (ს.ფ. 140);
- 2019 წლის 18 თებერვლის წერილი (ს.ფ. 142);

3.8. სს "ჩ----------ის" 2019 წლის 28 იანვრის №34 წერილის თანახმად, სს "ჩ----------ის" არქივში დაცულ დოკუმენტაციაში ინფორმაცია ლ---- ჯ-----ის ასული ა-----ის 1980, 1--- და 1--- წლებში მშობიარობის შესახებ არ მოიძებნა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებილებებს:
- სს "ჩ----------ის" 2019 წლის 28 იანვრის №34 წერილი (ს.ფ. 176);

3.9. საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 29 იანვრის №1------- წერილის თანახმად, ს----------ის (ჩ-----ს) დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ არის დაცული. ასევე, საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 17 იანვრის №1------ წერილით დგინდება, რომ საქართველოს რ----------ს დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ არის დაცული, რის გამოც ინფორმაცია აღნიშნულ სამშობიარო სახლებში ლ---- ჯ-----ის ასული ა----------ის მშობიარობის შესახებ ვერ იქნა მოძიებული.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 29 იანვრის №1------- წერილი (ს.ფ. 178);
- საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 17 იანვრის №1------ წერილი (ს.ფ. 180).

3.10. ლ----------მა (პ/ნ 0----------), მ----------მა (პ/ნ 0----------), ლიანა კ----------ემ (პ/ნ 0----------), ჯ----------მა (პ/ნ 0----------; მეან-გინეკოლოგი), მ----- ს----------მა (პ/ნ 0----------) დაადასტურეს, რომ ლ---- ა----------ს 1--- წლის ივნისში შეეძინა ქალიშვილი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებილებებს:
- ლ----------ის 08.12.2018წ. ახსნა-განმარტება (ს.ფ. 41);
- მოწმე ლ----------ის ჩვენება (03.07.2019წ. სხდომის ოქმი, ს.ფ. 225-239);
- მ----------ის 08.12.2018წ. ახსნა-განმარტება (ს.ფ. 42);
- მოწმე მაყვალა რეზვიაშვილის ჩვენება (03.07.2019წ. სხდომის ოქმი, ს.ფ. 225-239);
- ლ---- კ----------ის 08.12.2018წ. ახსნა-განმარტება (ს.ფ. 43);
- მოწმე ლ---- კ----------ის ჩვენება (03.07.2019წ. სხდომის ოქმი, ს.ფ. 225-239);
- ჯ----------ის 12.12.2018წ. ახსნა-განმარტება (ს.ფ. 44-45);
- მოწმე ჯ----------ის ჩვენება (03.07.2019წ. სხდომის ოქმი, ს.ფ. 225-239);
- მოწმე მ----- ს----------ის ჩვენება (27.11.2019წ. სდომის ოქმი);

## სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

5. ნორმატიული აქტები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ,,სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ,,სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახამდ, ამ კანონის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიანი სისტემის ფორმირება. კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების სახეებს, მათი რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების, დამატების შეტანის, სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაციის, დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბათილად ცნობის, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის, აგრეთვე პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადებისა და გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ძირითად პირობებს და სამოქალაქო აქტების სფეროში უფლებამოსილ ორგანოებს.

,,სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ა) სამოქალაქო აქტი − ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი: დაბადება, მამობის დადგენა, შვილად აყვანა, ქორწინება, განქორწინება, სახელის ან/და გვარის შეცვლა, გარდაცვალება; ბ) სამოქალაქო აქტის ჩანაწერი − ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ამ კანონით გათვალისწინებულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს; ვ) შესწორება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში − სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არსებული არასწორი მონაცემის სწორი მონაცემით შეცვლა.

,,სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების

ან/და დამატების შეტანის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ კანონის 78-ე–80-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების არსებობა. 77-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის შესახებ განცხადებით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლება აქვს პირს, რომლის მიმართაც შედგენილია შესაბამისი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი.

ამავე კანონის 79-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანის საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა: ა) სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომის აღმოჩენა; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემის უზუსტობის დადგენის შესახებ; გ) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ. ,,სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას, გარდა წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებისა, ასევე გამოიყენოს და დაეყრდნოს მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებს და სხვა მტკიცებულებებს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეში მოპოვებული წერილობითი დოკუმეტები, მხარეთა ახსნა-განმარტებებთან და მოწმეთა ჩვენებებთან ურთიერთშეჯერებით, მოპასუხეებს აძლევდა შესაძლებლობას შესწორება შეეტანათ მოსარჩელის დაბადების აქტის ჩანაწერში. კერძოდ, მოპასუხე აპელირებს იმ გარემოებზე, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იძებნება სხვა №1--- დაბადების აქტის ჩანაწერი, რეგისტრირებული 1--- წლის 22 ნოემბერს, სადაც იგივე მშობლების მონაცემია დაფიქსირებული, რაც 1--- წლის 25 ივნისს რეგისტრირებულ №6-- დაბადების აქტის ჩანაწერში. №1--- დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებული დაბადების თარიღი (20.11.1---წ.) კი გამორიცხავს ნ-------ს (ქორწინებამდელი გვარი - ს----------ი) 1--- წლის 14 ივნისს დაბადების ფაქტს.

სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული უტყუარ მტკიცებულებად იმისა, რომ ორივე დაბადების აქტში მშობლებად მითითებული არიან ერთიდაიგივე პირები, ვინაიდან მხოლოდ სახელის, გვარისა და მამის სახელის თანხვედრა არ ქმნის პირის იდენტიფიცირებისთვის საკმარის საფუძველს. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის შეფასება უნდა მოხდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. იმის გათვალისწინებთ, რომ სხვა წერილობითი მტკიცებულებები ლ---- ჯ-----ის ასული ა----------ის მშობიარობის შესახებ ვერ იქნა მოძიებული, ,,სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის პირველი პუნქტის

თანახმად, მხარეთა ახსნა-განმარტებები და მოწმეთა ჩვენებები წარმოადგენს იმ სათანადო მტკიცებულებებს, რომელთა სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო მოპასუხეთა მხრიდან სადავო საკითხის გადაწყვეტა. ადმინისტრაციულ ორგანოში წერილობით წარდგენილი მოწმეთა ახსნა-განმარტებებითა და სასამართლოს მიერ საქმეზე მოწმის სტატუსით გამოკითხულ პირთა ჩვენებებით კი, მათ შორის, მეან-გინეკოლოგის განმარტებით, დგინება, რომ ლ---- ა–––––––––ს ქალიშვილი - ნ---------- (ქორწინებამდელი გვარი - ს–––––––––––––ი) შეეძინა 1--- წლის ივნისში. რაც შეხება 1--- წლის 25 ივნისის №6-- დაბადების აქტის ჩანაწერის რეგისტრირაციის საფუძველს - რ–––––––––––––––––––––––––ს მიერ 1--- წლის 14 ივნისს გაცემულ ცნობას, სასამართლო მიიჩნევს, რომ ცნობის გაცემის თარიღი ავტომატურად არ წამოადგენს ბავშვის დაბადების თარიღს.

6.2. სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მეორე ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №0---------- გადაწყვეტილება, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №0--------- გადაწყვეტილება. შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა დაევალოს გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც განხორციელდება შესწორება ნ---- ს----------ის (ქორწინების შემდეგ-გ-----, პ/ნ 0----------) დაბადების სააქტო ჩანაწერში და ბავშვის დაბადების თარიღად - ,,14.06.1---წ'' ნაცვლად მიეთითება - ,,14.06.1---წ'' .

7. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა შორის ხარჯების განაწილების წესი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ასანაზღაურებლად.

## სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 32-ე, 33-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

## **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნ----------ს სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №0---------- გადაწყვეტილება და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 21 თებერვლის №0--------- გადაწყვეტილება.

3. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა დაევალოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც განხორციელდება შესწორება ნ---- ს----------ის (ქორწინების შემდეგ-გ-----, პ/ნ 0----------) დაბადების სააქტო ჩანაწერში და ბავშვის დაბადების თარიღად - ,,14.06.1---წ'' ნაცვლად მიეთითება - ,,14.06.1---წ'' .

4. მოპასუხეებს დაეკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ 100 (ასი) ლარის გადახდა;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მისამართი - თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მისამართი - თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მეშვეობით.

**მოსამართლე** **თამარ მეშველიანი**